

დავით ბერიკაშვილი

DAVID BERIKASHVILI

მაია პატარიძე

MAIA PATARIDZE

# სამშვილდის განძი

SAMSHVILDE HOARD

საქართველოს უცხოელისის გამომფეხლობა

თბილისი

2019

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი, საქართველო

Printed at The University of Georgia

Tbilisi, Georgia

საავტორო უფლებები © 2019 ეპუთვნის საქართველოს უნივერსიტეტს. ყველა სახის ციფრული ან ბეჭდური სახით  
გავრცელება წინამდებარე კატალოგში არსებული სტატიებისა და ფოტო-ვიზუალური მასალისა კომერციული მოგების  
მიზნით საქართველოს უნივერსიტეტთან შეთანხმების გარეშე აკრძალულია.

Copyright © 2019 All right reserved by The University of Georgia. Permission to make digital or hard copies of part or all of  
this work for personal or classroom use is granted without fee provided that copied are not distributed for profit or commercial  
advantage.

სამეცნიერო რედაქტორი

Scientific Editor

პროფესორი გოჩა ჯაფარიძე

Professor Gocha Japaridze

ტექნიკური რედაქტორი

Mamaging Editor

ნინო სუარიძე

Nino Suaridze

ყდის დიზაინერი

Designer

ნინო ანდრიაშვილი

Nino Andriashvili

რედაქტორები

Editors

მარინა ჟღენტი

Marina Zhgenti

ეთერ შენგელია

Eter Shengelia

ფოტოები ეპუთვნით დავით ბერიკაშვილსა და ზაზა მახარაძეს

Photos by David Berikashvili and Zaza Makharadze

Email: ug@ug.edu.ge

ყველა საავტორო უფლება დაცულია © 2019

Copyright © 2019

ISBN 978-9941-9644-7-3

## შინასიტყვაობა

სამშვილდე კავკასიის ქალაქებს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია. იგი მდებარეობს თბილისის სამხრეთით, ისტორიულ ქვემო ქართლში, მდინარეების ხრამისა და ჭივჭავის შესართავთან აღმართულ კონცხზე, რომელიც ბუნებრივად გამაგრებულ ადგილს წარმოადგენს. მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი რესურსების სიმდიდრე და სიახლოვე „აბ-რეშემის გზის“ ჩრდილოეთ განშტოებასთან ხელსაყრელ ვითარებას ქმნიდა ამ ადგილზე ადამიანის უძველესი დროიდან დასახლებისათვის.

მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი წარსულისა, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, სამშვილდის სისტემური, თან-მიმდევრული კვლევა უკანასკნელ ხანებამდე არ განხორციელებულა. მართალია, გასული საუკუნის მეორე ნახევარში ნა-ქალაქარზე და მის სიახლოვეს ჩატარდა გარკვეული სახის კვლევითი სამუშაოები, მაგრამ ეს უკანასკნელი არ ატარებდა სტაბილურ ხასიათს და მიღებული შედეგებიც არ იყო საკმარისი ძეგლის წარსული სურათის სრულად წარმოდგენისათვის.

ვითარება შეიცვალა 2012 წელს, როდესაც საქართველოს უნივერსიტეტმა ინიცირება გაუკეთა პროექტს, რომელიც არქეოლოგიურთან ერთად სამშვილდის მულტიდისკიპლინურ კვლევებსაც გულისხმობდა. შვიდი წლის განმავლობაში, თანმიმდევრული და სტაბილური მუშაობის შედეგად პროექტი სწრაფად განვითარდა და საერთაშორისო ხასიათი მიიღო. დღეისათვის კვლევებში საქართველოს უნივერსიტეტთან ერთად ჩართული არიან ევროპისა და კანადის კვლევითი-საგან-მანათლებლო ინსტიტუტები, სპეციალისტები და სტუდენტები. ასევე აღსანიშნავია, რომ 2018 წელს საქართველოს კულ-ტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ წარმოადგინა გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს სამშვილდის სარეაბილიტაციო-საკონსერვაციო სამუშაოებსა და ძეგლის ტურისტული პოტენციალის სრულად გამოყენებას.

დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული კვლევების შედეგად სამშვილდის შესახებ მნიშვნელოვანი სა-მეცნიერო სიახლეები იქნა გამოვლენილი. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ძეგლის იმ უადრესი კულტურული შრეებისა და არქეოლოგიური მასალების გამოვლენას, რომლებიც ქვის ხანის დასასრულ ეპოქას – ნეოლითს განეკუთვნება. დღემდე გაზიარებული იყო მოსაზრება, რომ სამშვილდის ისტორია დასაწყისს ანტიკური ხანიდან იღებდა, თუმცა, როგორც აღი-ნიშნა ქვის ხანის პერიოდის არქეოლოგიური მასალების გამოვლენამ ეს სტერეოტიპი დამასხვრია და ძეგლის ისტორია რამდენიმე ათასი წლით დააძველა.

ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია სამშვილდის ციტადელში, შუა საუკუნეების არქეოლოგიური ფენების ქვეშ, გვიანბრინჯაო, ადრე რკინის ხანის სამარხის გამოვლენა, რაც ამ ადგილზე, აღნიშნული პერიოდის სამაროვანისა და, შესაძლებელია, ნამო-სახლარის არსებობასაც უნდა ადასტურებდეს. მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო, სავსებით დასაშვებია, რომ სამშვილდის კონცხი ადამიანის მიერ მართლაც ასეთ შორეულ ხანებში ყოფილიყო ათვისებული.

თუმცა, ყველაზე მძლავრად სამშვილდები მაინც შუა საუკუნეების ნაშთებია წარმოდგენილი და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან იგი საუკუნეთა განმავლობაში რეგიონის უმსხვილეს პოლიტიკურ-ეკონომიკურ და რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა. შუა საუკუნეების კომპლექსები წარმოდგენილია როგორც ადრეული, ისე განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების მასალებითა და შენობა-ნაგებობების ნაშთებით. უკანასკნელ ხანებში გამოვლენილი შუა საუკუნეების სხვადასხვა ფაზის მასალები თვალწათლივ მიუთითებს იმ პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ კავშირებზე, რომელიც სამშვილდეს ჰქონდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

ამ კავშირებსა და ძეგლის მნიშვნელობას ყველაზე თვალსაჩინოდ სამშვილდის ციტადელში აღმოჩენილი სამონეტო განძი წარმოაჩენს, რომელიც აერთიანებს განვითარებული შუა საუკუნეების სამასაძე ქართულ და უცხოურ მონეტას. ასეთი მსხვილი განძის აღმოჩენა სტაბილური, გეგმაზომიერი და თანმიმდევრული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, მაშინ როდესაც თანადროული კონტექსტები და ფენები კარგად არის დაცული, ძალზედ მნიშვნელოვანია. შესაბამისად, განძში შემავალი მონეტების სრულყოფილი კვლევა და გამოქვეყნება საშური საქმეა.

საქართველოს ტერიტორიაზე, თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში, მიმოქცევაში მყოფი სხვადასხვა ფული სამონეტო განძის სახით იღებებოდა. ამიტომაც, განძის შესწავლით შესაძლებელია ქვეყნის ამა თუ იმ პერიოდის ფულადი მიმოქცევის სურათის აღდგენა. საშინაო და საგარეო სავაჭრო ურთიერთობების გაცოცხლება და, რაღა თქმა უნდა, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კავშირების გადმოცემა. აქედან გამომდინარე, თითოეული სამონეტო განძის აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის კვლევის საქმეში. გამომდინარე თავისი სპეციფიკიდან, ნუმიზმატიკური განძების მიერ შემონახული ინფორმაციის დამუშავება-გაანალიზების პროცესი გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. განძებში დაფარული საიდუმლო ისტორიული გზავნილების ამოკითხვას, ხშირ შემთხვევაში, ართუ-ლებს განძების წარმომავლობის ანონიმურობა. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ საცავში დღეისათვის მრავალი ასეული სამონეტო განძი ინახება, მაგრამ უმეტესობის აღმოჩენის გარემოება, არქეოლოგიური კონტექსტი, ცნო-ბილი არ არის.

გაცილებით დიდი ინფორმაციის მატარებელი ის სამონეტო განძებია, რომელთა აღმოჩენა გეგმიური არქეოლოგიური კამპანიების შედეგად მოხდა, ვინაიდან, ამ შემთხვევაში თანმდევი არქეოლოგიური მასალის საშუალებით უფრო მეტია ინფორმაცია და საიდუმლოს „ამოკითხვა“ აღვილა.

ამ თვალსაზრისით, სამშვილდის განძის აღმოჩენა მნიშვნელოვანი მოვლენაა როგორც ქართული ნუმიზმატიკური მეც-ნიერებისთვის, ისე ზოგად საისტორიო მეცნიერებისთვის.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაშ ადრე მის ფონდებში დაცული არაერთი, უმთავრესად, უცხოური მონეტების კატალოგები გამოსცა. შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი გამონაკლისია კირმანული, რომელიც დასავლეთ საქართველოში იჭრებოდა. ამდენად, უკვე დიდი ხანია, რაც ქართული, მათ შორის თამარის ეპოქის, მონეტების კატალოგების გამოქვეყნების საჭიროება დადგა. მონეტა წყაროა და ის ისევე უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველასთვის, როგორც ქართული და უცხოური ნარატიული წყაროები, რომლებსაც დიდი რუდუნებით თარგმნიდნენ და თარგმნიან ქართველი მკვლევრები.

„სამშვილდის განძის“ მონოგრაფიის სახით გამოქვეყნება უდიდეს სამსახურს გაუწევს ქართველ მკვლევრებს, საქმეში შეიძლება ჩაერთონ ეკონომისტებიც, რომლებმაც შეიძლება შეიძლონ ის, რაც ისტორიკოსისთვის დაფარულია.

ნაშრომი შედგება ვრცელი არქეოლოგიური კონტექსტისაგან, მას ერთვის ნუმიზმატიკური კატალოგი სამეცნიერო კიმენტარებით. კატალოგში დეტალური სიზუსტით არის აღწერილი მონეტები, მათვის დამახასიათებელი თავისებურებებით, განმასხვავებელი ნიუნქებითა და მეტროლოგიური მახასიათებლებით. თითოეული მონეტის ფოტოების დაბეჭდვა, ნებისმიერ ისტორიკოსს გაუადვილებს მათ შესწავლას. წიგნი საგანმანათლებლო კუთხითაც მნიშვნელოვანია, რადგან, მის გამოყენებას შეძლებენ დაინტერესებული სტუდენტებიც.

დღეს ქართული ნუმიზმატიკა ქართული მონეტების 40-მდე გამოქვეყნებულ განძებს იცნობს. წინამორბედი ნაშრომებისაგან ეს ნაშრომი გამოირჩევა კვლევის ახლებური მეთოდის დანერგვით. სინთეზური მეთოდის საშუალებით მოხდა საკვლევი ობიექტის-სამშვილდის განძის გაერთიანება მთლიანად საქართველოს ფულადი მიმოქცევისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების გასასაზღვრად. თემის თვისობრივი ხასიათიდან გამომდინარე, კვლევის მეთოდოლოგია ინტერდისიცი პლინარულია. ნაშრომში ასევე გამოიყენება რაოდენობრივი კვლევის მეთოდი ისეთი რიცხვითი პარამეტრების შესწავლისას, როგორიცაა სხვადასხვა მონეტის და სამონეტო განძის ხვედრითი წილის განსაზღვრა როგორც კონკრეტულად სამშვილდის განძში, ასევე მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ XII-XIII საუკუნის ქართულ განძებში.

ნაშრომი საყურადღებოა არა მხოლოდ ქართული ნუმიზმატიკის მკვლევართათვის, არამედ საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის არქეოლოგიის, პოლიტიკურ-ეკონომიკური და ეკონომიკური ისტორიის საკითხებით დაინტერესებული სამეცნიერო წრეებისა თუ ფართო საზოგადოებისთვის.

კატალოგზე მუშაობისას არა ერთმა ადამიანმა გაგვიწია სხვადასხვა სახის დახმარება, რომლის გარეშე წინამდებარე ნაშრომის შექმნა ბევრად გართულდებოდა, ან უბრალოდ, დღის სინათლეს ვერ ნახავდა.

ულრმეს მადლობას მოვახსენები ყველას, ვინც ჩვენი ნაშრომი გულდასმით წაიკითხა და თავისი ღირებული შენიშვნებისა თუ რჩევების მოცემა არ დაიზარა.

პირველ რიგში, წიგნის რედაქტორს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, აღმოსავლეთმცოდნეს, თბილისის ივ. ჯავა-ჩიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორს გოჩა ჯაფარიძეს;

საქართველოს უნივერსიტეტის პრეზიდენტს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გიული ალასანიას;

საქართველოს უნივერსიტეტის პრეზიდენტს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მანანა სანაძეს;

საქართველოს უნივერსიტეტის რექტორს, ბ-ნ კონსტანტინე თოფურიას;

საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორს, ისტორიის დოქტორს, პროფესორ თინათინ ღუდუშაურს;

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორს, ბ-ნ ნიკოლოზ ანთიძეს;

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორის პირველ მოადგილეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ დავით ლომიტაშვილს;

საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესტავრაციისა და კონსერვაციის კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტებს: ნინო თავართქილაძეს, თეომურაზ ფარჯანაძეს, ირაკლი ბაქრაძეს, ნინო ქებულაძეს, სალომე ახალაძესა და მარიამ მჭედლიშვილს.

ისტორიკოსსა და კარტოგრაფ მანანა შეყილაძეს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტს ანა ბერბიჭაშვილს.

აღმოსავლეთმცოდნების ინსტიტუტის ასოცირებულ მეცნიერს, ისტორიის დოქტორს, ირაკლი ფალავას.

ასევე ყველას, ვინც სხვადასხვა ფორმით მიიღო მონაწილეობა სამშვილდის ნუმიზმატიკური განძის აღმოჩენასა და წინამდებარე ნაშრომის მომზადებაში.

ავტორები

## PREFACE

Samshvilde is one of the remarkable cities of Caucasus. It is located in the south of Tbilisi, in the historic Kvemo Kartli, on the cape at the confluence of Khrami and Chivchava rivers which represents a naturally reinforced place. Convenient geographic location, abundance of natural resources and proximity to the northern branch of the “Silk Road” created a favourable condition for settlement of humans in this place from the ancient times.

Despite the centuries-long past, strangely enough, systemic, consistent study of Samshvilde had not been carried out until recently. Even though certain research works were conducted on the former settlement and in the vicinity of it in the second half of the last century, but they were not stable and the obtained results were not enough for full formation of the past picture of the monument.

The situation changed in 2012 when the University of Georgia initiated a project which in addition to archaeological survey implied conducting multidisciplinary surveys of Samshvilde. As a result of consistent and stable work during seven years, the project developed rapidly and became international. Currently, European and Canadian research-educational institutes, specialists and students are engaged in the surveys together with the University of Georgia. It is also noteworthy that the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia submitted a plan in 2018 aiming to conduct rehabilitation-conservation works in Samshvilde and full realization of the touristic potential of the monument.

Today it may be said that significant scientific novelties were discovered about Samshvilde as a result of the above surveys. This is primarily related to discovery of the earliest cultural layers of the monument and archaeological materials which belong to the end of the Stone Age – Neolith. Until present, it was considered that history of Samshvilde starts from the antique period, however, as it was mentioned, discovery of archaeological materials of the Stone Age broke this stereotype and made the history of the monument older by several thousand years.

Discovery of the Late Bronze-Early Iron Age grave under archaeological layers of the Middle Ages in Samshvilde citadel is also important which must be a confirmation of existence of the burial ground and possibly, a former settlement of the above period on this place. Due to the convenient geographic location, it is absolutely possible that Samshvilde cape might have been used by humans in such early period.

However, remnants of the Middle Ages are presented in Samshvilde most widely and this is natural, because it represented the largest political-economic and religious center of the region over centuries. Complexes of the Middle Ages are presented by materials and remnants of buildings and structures of the early, and developed and late Middle Ages. The recently discovered materials of various phases of the Middle Ages are clear indication of the political, cultural and economic relations which Samshvilde had both within the country and outside of it.

However, significance of these relations and the monument is most vividly demonstrated by the coin treasure discovered in Samshvilde citadel which unites up to three hundred Georgian and foreign coins of the developed Middle Ages. Discovery of such large treasure as a result of stable and consistent archaeological excavations, while the contemporary contexts and layers are well preserved, is very important. Accordingly, full study and publication of coins included in the treasure is an urgent issue.

Various forms of money circulated on the territory of Georgia throughout its centuries-long history were preserved in the form of coin treasure. Therefore, study of the treasure may allow for restoring the picture of monetary circulation of this or that period in the country, reviving the domestic and foreign trade relations and of course, conveying external political relations of the country. Therefore, discovery of each coin treasure has the greatest importance for study of historic past of our country. Due to its specific nature, the process of processing and analysis of information preserved by numismatic treasures is associated with certain difficulties. In frequent cases, anonymous origin of treasures makes it complicated to read the secret historic messages hidden in the treasures. Several hundreds of coin treasures are saved in the numismatic depository of the National Museum of Georgia today, but the circumstance, archaeological context of discovery of most of them is not known.

The coin treasures which were discovered as a result of planned archaeological campaigns provide much more information, because in this case, there is more information by means of the accompanying archaeological materials and it is easier to “read” the secret.

In this regard, discovery of Samshvilde treasure is a significant phenomenon both for the Georgian numismatic science and the general historic science.

The numismatic department of the National Museum of Georgia issued a number of catalogues, mostly of foreign coins, saved in its depositories earlier. It may be said that Kirmanian coin which was minted in the West Georgia is the only exception. Thus, it became necessary to publish catalogues of Georgian coins, including coins of Tamar’s epoch a long time ago. Coin is a source and it should be available to everybody similar to the Georgian and foreign narrative sources which were translated and are translated by Georgian researchers with great care.

Publication of “Samshvilde Treasure” in the form of a monograph will greatly assist the Georgian researchers. Economist may also become engaged in this process and they may notice something that is hidden for historians.

The research consists of a vast archaeological context and is followed by a numismatic catalogue with scientific comments. The coins are described in the catalogue with detailed precision, with their peculiarities, nuances that make them different and metrological characteristics. Printing each coin in photos will simplify their study for any historian. The book is significant from educational point of view too, because interested students may be able to use it.

Today, up to 40 published treasures of Georgian coins are known in the Georgian numismatics. This research differs from the previous researches by introduction of innovative method of research. Using a synthesis method, the research object – Samshvilde treasure – was united for identification of monetary circulation and political-economic processes of Georgia entirely. Due to the qualitative nature of the topic, the research methodology is interdisciplinary. The research also used a quantitative research method in the course of study of numerical parameters, such as determination of share of various coins and coin treasure in Samshvilde treasure as well as in the Georgian treasures of the 12-13th centuries discovered on the territory of Georgia.

The research is interesting not only for researchers of the Georgian numismatics but also for the scientific community and general public interested in issues of archaeology, political-economic and economic history of Georgia and the Near East.

While working on the catalogue, a number of people provided various kinds of assistance to us, without which it would have been much complicated to create this research or it would simply not have been published.

We would like to express deepest gratitude to all those people who read our research thoroughly and gave us their valuable comments and advice.

First of all, we would like to express gratitude to the editor of the book, Doctor of Historic Sciences, Orientalist, Professor of the Faculty of Humanitarian Sciences of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Mr. Gocha Japaridze;

President of the University of Georgia, Doctor of Historical Sciences, Professor, Mrs. Giuli Alasania;

President of the University of Georgia, Doctor of Historical Sciences, Professor, Mrs. Manana Sanadze;

Rector of the University of Georgia, Mr. Konstantine Topuria;

Director of the School of Arts and Humanities of the University of Georgia, Doctor of History, Professor, Mrs. Tinatin Gudushauri;

General Director of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, Mr. Nikoloz Antidze;

First Deputy General Director of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, Doctor of Historical Sciences, Professor, Mr. David Lomitashvili;

Specialists of the Restoration and Conservation Research Institute of the National Museum of Georgia: Nino Tavartkiladze, Teimuraz Parjanadze, Irakli Bakradze, Nino Kebuladze, Salome Akhaladze and Mariam Mchedlishvili;

Historian and cartographer, Mrs. Manana Shekiladze;

Master’s student at Ilia State University, Ana Berbitchashvili.

Associated scientist of the Institute of Oriental Studies, Doctor of History, Mr. Irakli Paghava;

And all those people who participated in discovery of the numismatic treasure of Samshvilde and preparation of this research in various forms.

Authors

## სარჩევი

შიდასიტყვაობა / PREFACE	3-6
არქეოლოგია / ARCHAEOLOGY	8-49
ნუმიზმატიკა / NUMISMATICS	50-64
დემეტრე I / DEMETRE I	66
გიორგი III ფივა I / GIORGI III TYPE I	67-74
გიორგი III ფივა II / GIORGI III TYPE II	75-112
გიორგი III რუსულის დამღები / GIORGI III WITH RUSUDAN'S COUNTERMARK	113-115
გიორგი III / GIORGI III	116-117
გიორგი III - თამარი / GIORGI III - TAMAR	118
თამარი / TAMAR	119-148
თამარი რუსულის დამღები / TAMAR WITH RUSUDAN'S COUNTERMARK	149-220
გიორგი IV ლაშა / GIORGI IV LASHA	221-244
გიორგი IV ლაშა რუსულის დამღები / GIORGI IV LASHA WITH RUSUDAN'S COUNTERMARK	245-301
გერშასბ I ფარუქზადი პეტ მანუქიზრი / GERSHASB I BIN FARRUKHZAD BIN MANUCHEHR	302
ან თამარი ან გიორგი ლაშა / EITHER TAMAR OR GIORGI LASHA	303
განუსაზღვრელი რუსულის დამღები / IDENTIFIED WITH RUSUDAN'S COUNTERMARK	304
ორი მოცეფა ერთად / TWO COIN TOGETHER	305
გამოყენებული ლიტერატურა / REFERENCE	306-309
სამიებალი / INDEX	310-312

# ԱՐԵՐՈՂՈՅԱ





არქეოლოგიური გათხრები -სამშვილდის სიონთან  
Archaeological Excavations at Samshvilde Sioni

# ARCHAEOLOGY

სამშვილდის სიონის აღმოსავლეთის ფასადი. დეტალი.

Eastern Facade of Samshvilde Cathedral. Detail.

**პროფ. დავით ბერიკაშვილი  
არქეოლოგი, ისტორიის დოქტორი  
საქართველოს უნივერსიტეტი**

## ისტორიული კონტექსტი

ქართული საისტორიო ტრადიცია სამშვილდის უძველეს ისტორიას ქართველთა ეპონიმს, ქართლოსს უკავშირებს: „...ქართლოს აღაშენა ციხე ორბისა, რომელსაც აწ ჰქვან სამშვილდე და კუალად აღაშენა მტუერის ციხე, რომელსა აწ ჰქვან ხუნანი...“<sup>1</sup>. წყაროს მიხედვით ქართლოსის გარდაცვალების შემდეგ ორბის ციხე - სამშვილდე მისი შვილებიდან წილად გაჩიოსს რგებია, რომელიც განაგებდა ტერიტორიას „...სკპრეთის მდინარითგან ვიდრე თავამდე აბოცისა...“<sup>2</sup> და რომელმაც „...აღაშენა ქალაქი გაჩიანი, რომელსა მაშინ ერქუა სანადირო ქალაქი...“ [იქვე]. ის რომ, წინარე ელინისტურ და ელინისტურ ხანაში სამშვილდის კონცხი მართლაც ყოფილა აღამიანის მიერ ათვისებული 1968<sup>3</sup> და 1987 წელს<sup>4</sup> განხორციელებული არქეოლოგიური სამუშაოებითაც დასტურდება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი მასალა დაგროვდა 2014-2018 წლებში საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგადაც<sup>5</sup>, რაც ასევე, სამშვილდის კონცხისა (სურ. 1) და მიმდებარე ტერიტორიების უძველესი დროიდან ათვისებას, ფაქტობრივად, ადასტურებს<sup>6</sup>.



სურ. 1. Fig.

თუმცა, უკანასკნელ ხანებში ჩატარებული ისტორიულ-გეოგრაფიული, პალეოგრაფიკული და ლინგვისტური კვლევები ადასტურებს, რომ სამშვილდის, მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცენტრად ჩამოყალიბება ქვემო ქართლში სასანური ირნის გავლენის მომძლავრებასთან ერთად უნდა მომხდარიყო, როდესაც „...ქართლის მეფე ბაკურ მირიანის ძემ (დაახ. 330/335-355 წწ.) რომის მოკავშირე სომხეთის მოძალებისაგან, ქვემო ქართლის (ტაშირი, აშოცი) უკეთ დაცვის მიზნით, პეროზს გაუცვალა ქვეყანა, საკუთრივ დაიჭირა რან-პერეთ-მოვაკანი, ანუ ალბანეთი და პეროზს უშეალო მმართველობაში გადასცა სამშვილდის საერთოსავო - ტაშირი და აშოცი. ასე გახდა პეროზ სასანიანი, „ქართველთა ცხოვრების“ ტერმინოლოგიით, „სამშვილდის ერისთავი“, სადაც ერისთავი „პიტახში-ს“ ქართული თარგმანია<sup>7</sup>.

1 მროველი ლეონტი. (1955). ამბავი ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტომი I. რედ. ს. ყაუხჩიშვილი. გვ. 8. თბილისი.

2 იქვე. გვ. 9.

3 ჭილაშვილი, ლ. (1970). ქლოაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. II. გვ. 118. თბილისი.

4 ბახტაძე, ნ. (2007). კლდის ხუროთმოძღვრების გენეზისი და კანკითარების გზები საქართველოში. გვ. 25. თბილისი.

5 ბერიკაშვილი, დ. (2017). არქეოლოგიური გათხრები სამშვილდეში. (2015-2016 წლის მასალები). თბილისი. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

6 გრიგოლია, გ., ბერიკაშვილი, დ. (2018). არქეოლოგია. ნეოლითური ქვის ინდუსტრია სამშვილდედან. №2. გვ. 87. თბილისი.

7 სანაძე, მ. (2016). ქართლის ძევეულებისა და პატრიკოსების ქრონოლოგია (ფარნავაზიდან აშოტ ქურაბალაშვილამდე). ქართველთა ცხოვრება. წიგნი III. გვ. 256. თბილისი. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.



სურ. 2. Fig.

სამშვილდე მართლაც მნიშვნელოვან ცენტრად გვევლინება V საუკუნეში, როდესაც არჩილ მეფემ (ვახტანგ გორგასლის პაპა) იგი თავის შვილს მირდატს (მეფე მირდატ VIII) გადასცა: „...სამშვილდე ძესა თვისსა საერისთოთა მისითა, და მუნ დასხდეს მირდატ და საგდუხტ...“<sup>8</sup>. წყაროდან ასევე ჩანს, რომ დედოფალ საგდუხტს, მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა მიუღია, აქ ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია - სიონი აუგია, რომლის ზუსტი მდებარეობის შესახებ დღეს-დღეობით მხოლოდ და მხოლოდ გარაუდი შეგვიძლია<sup>9</sup>.

ვახტანგ გორგასლის ეპოქის შემდეგ სამშვილდის შესახებ წერილობითი წყაროები, ფაქტობრივად, დუმან. მხოლოდ VIII საუკუნის მეორე ნახევრით დათარილებულ ცნობაში ჩნდება კვლავ პიტიახშ-ერისმთავარი „რომელი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს..“<sup>10</sup> („სამშვილდის ქვეყანას“ დ. ბ.). კონტექსტიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვახტანგ გორგასლის შემდგომ ხანებში, ვიდრე აღნიშნულ პერიოდამდე, სამშვილდე კვლავაც პიტიახშის „გამგებლობის“ ქვეშ იმყოფება. ამასვე ადასტურებს სამშვილდის სიონის (სურ. 2) (759-777) წარწერაც<sup>11</sup>, სადაც „...თესავით პტ~ხში...“ („ნათესავით პიტი-ახში“) „...ვ~ზბკრ“ (ვარაზ-ბაკური) და „...იოვანე..“ არიან მოხსენიებულნი.

ამირკავკასიაში არაბების გამოჩენასთან ერთად რეგიონში ვითარება იცვლება. თბილისის საამიროს შექმნის შემდეგ (VIII ს-ის შუა ხანები), ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი არაბი ამირას იურისდიქციის ქვეშ ექცევა. თუმცა, სამშვილდის სიონის წარწერაში ბიზანტიის იმპერატორების - კონსტანტინე V კოპრონიმისა და ლეონ IV ხაზარის მოხსენიება იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ თბილისის საამიროს გავლენა სამშვილდეზე ფიქტური ან მინიმალური უნდა ყოფილიყო. 853 წელს კი, ბუღა თურქის თბილისში ლაშქრობის დროს, რომლის მიზანსაც ამირა საპაკის დასჯა წარმოადგენდა, ამირა სწორედ სამშვილდის ციხეში ცდილობთა თავის შეფარებას - „...გავიდა კარით, (საპაკი) რომელიც მიემართებოდა სამშვილდის ციხისაკენ..“<sup>12</sup>, თუმცა, უშედეგოდ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქ. ქუთათელაძე აღნიშნავს, რომ: „...სამშვილდე, ქვემო ქართლის ეს უმნიშვნელოვანესი ცენტრი ამ დროს (853 წელს) ამირას იურისდიქციის ქვეშ რომ არ ყოფილიყო, როგორ გაბედავდა დამარცხებული საპაკი თავშესაფრად ამ მიმართულებით წასვლას“<sup>13</sup>.

8 ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ქართლის ცხოვრება. გვ. 142.

9 ჩვენი აზრით, როგორც ეს სხვადასხვა ძეგლების (ალავერდი, ბაგრატი, სამთავისი და სხვ.) მაგალითზე ჩანს, დედოფალ საგდუხტის მიერ აშენებული ეკლესია სამშვილდის საკათედრო ტაძრის (759-777) ქვეშ უნდა იყოს მოქცეული.

10 მატანჯ ქართლის. (1955). ქართლის ცხოვრება. ტომი I. რედ. ს. ფუხხიშვილი. გვ. 257. თბილისი.

11 მუსხელიშვილი, ლ. (1942). სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი. ენიმუკის ძაბულ. XIII. გვ. 85-104. თბილისი.

12 ცაგარეიშვილი, ე. (1975). თომა არწივუნისა და მნიშნავი ისტორიკოსის ცნობები საქართველოს შესახებ. მრავალთავი. IV. გვ. 269. თბილისი.

13 ქუთათელაძე, ქ. (2001). ქვემო ქართლი. პოლიტიკური ისტორიის საკითხები. გვ. 68. თბილისი.



სურ. 3. Fig.

IX საუკუნის შუა ხანებიდან სამშვილდე და ზოგადად, მთელი ქვემო ქართლი შირაკის ბაგრატუნთა საგვარეულო დინასტიის გავლენის ქვეშ ექცევა, რომლებმაც ამავე საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე მოახერხეს კიდეც მისი ანუქ-სია<sup>14</sup>. ცოტა მოგვიანებით, როდესაც ბაგრატუნთა საგვარეულოს გვერდითი შტოს - კვირიკიანთა დინასტიის პირველი წარმომადგენელი გურგენ აშოტის ძე (კორიკე - კვირიკე I. 979-989 წწ.) ტაშირის მმართველად დაინიშნა, საფუძველი ჩაუყარა შირაკის სომხურ სამეფოზე ვასალურად დამოკიდებულ ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს<sup>15</sup>, რომელიც ისტორიული ქვემო ქართლი-გოგარენეს ტერიტორიაზე 1118 წლამდე არსებობდა, ვიდრე დავით IV აღმაშენებელმა ლორე არ აიღო და ტაშირ-ძორაგეტის სამეფო არ გააუქმა.

გურგენ-კვირიკეს შემდგომ მეფე მისი უფროსი ვაჟი დავითი („ანპოლინი“. 989-1046 წწ.) ხდება, რომელიც მამამისისგან განსხვავებით მართლაც ძლიერი ხელისუფალი გამოდგა. სომეხი ისტორიკოსის ასოლიკის მიხედვით, დავით გურგენის ძემ ბრძოლებით განამტკიცა გავლენა „ვრაც დაშტზე“ (ქართველთა ველი) და ფლობდა დიდ და ძლიერ ციხესიმაგრეს - „შამშულდეს“ (სამშვილდეს)<sup>16</sup> (სურ. 3). დავით „ანპოლინის“ მიეწერება ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს დედაქალაქის ტაშირიდან სამშვილდეში გადმოტანა, რის გამოც იგი „მატიანე ქართლისა-ის“ მიხედვით „სამშვილდარ-ძორაგეტელად“ ისესნიება.

1001 წელს სამშვილდეში სადამსჯელო ლაშქრობას აწყობს ანისის მეფე გაგიკ I, რომელიც მიზნად ისახავდა ურჩი ძმის წულის დავით „ანპოლინის“ ძალაუფლების შესუსტებას. „...გაოგნებული (გაგიკი დ. ბ.) თავს დაესხა ტაშირს, სამშვილდესა და ქართველთა ველს. ...დაანგრია, და გააპარტახა ყველაფერი. დაპყო აქ სამი თვე... გაგიკის მრავალრიცხოვანი ლაშქრის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო...“<sup>17</sup> (დავითმა - დ. ბ.). როგორც წყაროდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ გაგიკ I-მა მკაცრად დასაჯა გამდგარი დავით, მაიც შეუნარჩუნა მას მეფობის ტიტული, ვინაიდნ „ანპოლინი“ გაგიკის გარდაცვალების შემდეგაც (1020 წ.) ტაშირ-ძორაგეტის მეფედ გვევლინება.

დავით კვირიკიანის შემდგომი მეფის, მისივე ვაჟის - კვირიკე II-ის დროს (1048-1089 წწ.) ტაშირ-ძორაგეტის სამეფომ მართლაც მიაღწია დამოუკიდებლობას, როდესაც ბიზანტიის ექსპანსიის შედეგად, 1045 წელს ანისის სომხურმა სამეფომ არსებობა შეწყვიტა. ოუმცა, ეს დამოუკიდებლობა დიდ ხანს არ გაგრძელებულა, ვინაიდნ 1064 წელს სამეფოს დედაქალაქი სამშვილდე ჯერ სელჩუკთა სულთანმა არფა-ასლანმა დალაშქრა და დაიპყრო, შემდეგ კი, 1065 წელს, საქართველოს მეფე ბაგრატ IV-მ სომხეთიდან მომავალი კვირიკე II შეიძყრო და აიძულა დედაქალაქი სამშვილდედან ლორეში გადაეტანა<sup>18</sup>. ამ


14 იქვე. გვ. 83.

15 Մաթեվոսյն, Ռ. (1982). Տաշիր-Ձորագետ, Եր. გვ. 71.

16 Ստեփանոսի Տարպնեցւոյ Ասողկան պատմութիւն տիեզերական, Սպբ. (1885). გვ. 256.

17 იქვე. გვ. 279-280.

18 ჯაფარიძე, გ. (1995). საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამურ XII-XIII ს-ის პირველ მეტელში. გვ. 33. თბილისი.



სურ. 4. Fig.



სურ. 5. Fig.



სურ. 6. Fig.

კონტექსტში საგულისხმოა ისეც, რომ კვირიკეს, სულთან არფა-ასლანისათვის მეტი ერთგულების დამტკიცების მიზნით, ჰუსრა, საკუთარი ძმისშვილი, რომელიც ამავე დროს ბაგრტის დისტულიც იყო, ცოლად მიეთხოვებინა. ეს კი საკმარისი მიზეზი აღმოჩნდა ბაგრატისათვის, რომ იერიში მიეტანა კვირიკეზე და ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს მიმართ თავისი გეგმა განეხორციელებინა<sup>19</sup>.

შემდგომ ხანებში, კვირიკე II-ის შთამომავლები აბასი და დავითი, რომლებიც ტავუშსა და მაწნაბერდში აფარებდნენ თავს, კვლავაც იმედოვნებდნენ დაებრუნებანათ დავით IV აღმაშენებლის მიერ სელჩუკებისაგან განთავისუფლებული ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს ნაწილი მაინც, მაგრამ მას შემდეგ რაც დავით IV-მ ტაშირ-ძორაგეტი სამეფოდ მიითვალა და ის კვირიკანებს სამემკვიდრეოდ აღარ გადასცა, ეს უკანასკნელი იმულებულნი გახდნენ თავი არანისთვის შეეფარებინათ<sup>20</sup>.

ბაგრატ IV -ის მიერ მოპოვებული წარმატებები ქვემო ქართლში მისმა ვაჟამა, გიორგი II ვერ შეინარჩუნა. იგი იმულებული გახდა კეთილგანწყობილების მოპოვების მიზნით სამშვილდე ბაღვაშთა ძლიერი საგვარეულოსათვის „სახუქრად“ გადაეცა: „...უბოძა ივანეს სამშვილდე..“<sup>21</sup>, რომელმაც პირველი შესაძლებლობისთანავე თავისი შვილის ლიპარიტის პირით ერთგულობა აღუთქა სელჩუკთა სულთან მალიქ შაჰს გიორგი II-ის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა, მალევე ლიპარიტი სულთნის კარიდან (სადაც, როგორც ჩანს იგი მეგლად იმყოფებოდა) გამოიპარა, რასაც მოპყვა სელჩუკთა სასტიკი, დამსჯელი შემოსევა ქვემო ქართლში: „...ჩამოდგა სამშვილდის ბარს..“ (მალიქ შაჰი დ.დ.), „...მოადგა სამშვილდესა და წაულო სამშვილდე...ტყეუ იქმნა ივანე, თავითა, ცოლითა და შვილისშვილთა და ყოველთა აზნაურთა დედა-წულთა...“<sup>22</sup>. მართალია გიორგი II ცდილობდა ქვემო ქართლში სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლებით ვთარება სამეფოს ინტერესების სასარგებლოდ შეეცვალა და ფარცხისთან გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია (1073), მაგრამ სამშვილდიდან მტრის განდევნა მაინც ვერ შესძლო. ამ ხანებიდან მოყოლებული სამშვილდე თურქ-სელჩუკთა ხელშია, ვიდრე დავით აღმაშენებელმა იგი საბოლოოდ არ გაათავისუფლა.

1110 წელს დავით IV-ის დავალებით, გიორგი ჭყონდიდელმა, მისმა დის შვილმა თევდორემ, აბულეთმა<sup>23</sup> და ივანე ორბელმა ეფექტური მოქმედებებით შესძლეს სამშვილდის ხელში ჩაგდება („სიმარჯვით მოიპარეს“), რის შედეგადაც ციხე-ქალაქი ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში გადავიდა. ამ გამარჯვებას ისეთი ეფექტი ჰქონდა, რომ „...ცნეს რა თურქთა აღება სამშვილდისა, უმრავლესი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს და ღამით მეოტ იქმნეს...“<sup>24</sup>.

19 ქუთათელაძე, ქ. (2001). ქვემო ქართლი. პოლიტიკური ისტორიის საკითხები. გვ. 131-132. თბილისი.

20 ჯაფარიძე, გ. (1995). საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედიში. გვ. 56-57. თბილისი.

21 მატარე ქართლისა. (1955). ქართლის ცხოვრება. ტომი I. რედ. ს. ყაუხჩიშვილი. გვ. 316. თბილისი.

22 იქვე. გვ. 317.

23 ჯაფარიძე, გ. (2012). ძეგბანი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში. I. გვ. 107-110. თბილისი.

24 დავით აღმაშენებლის ისტორიკისი. (1955). ქართლის ცხოვრება. ტომი I. რედ. ს. ყაუხჩიშვილი. გვ. 331-332. თბილისი.